№ 60

წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. კვირა, 2 აგვისტო 1915 წ. № 60

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 67.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ღირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ რედაქცია სამწუხარო ამბავს აუწყებს თავის მკითხველებს: 27 ივლისს საღამოს 7 საათ. ქ. თბილისში

გარდაიცვალა მთისარწივი

# ვაჟა-ფშაველა

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში. დასაფლავება კვირას 2 აგვისტოს, დიდუბეში.

---

ქართ. კულტურის მოყვარულთა საზოგადოება აუწყებს საქართველოს შვილთ, რომ ჩვენი სასიქადულო მგოსან

## ვაჟა-ფშაველას

დაკრძალვა მოხდება 2 აგვისტოს, დიდუბის ეკლესიის გალავანში. წირვა და ანდერძის აგება გადახდილ იქნება ქვაშვეთის წმ. გიორგის ტაძარში.

---

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭო აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ დღეს დიდუბის ეკლესიის გალავანში მოაბარებენ მიწას საზოგადოების წევრის

## ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილის მგოსანი ვაჟა-ფშაველას

ნეშტს. წირვა გადახდილ იქნება ქვაშვეთის ეკლესიაში, რომლის შემდეგ მოხდება წესის აგება და გამოსვენება ცხედრისა. დასაწყისი წირვისა დილის 8 საათზე.

---

### თბილისი, 2 აგვისტო.

**გამოსალმება.**

დღეს საქართველო ჰმარხავს ერთს თავის საუკეთესო მებუკეს—დიდს ვაჟას. ყრუ დრტვინვა, სამგლოვიარო ზარი, რამაც დასჩრდილა დღეს დღეობით იქ, ბრძოლის ველზე გამეფებული გლეჯაფლეთა და ღრიანცელი, აშკარა მაუწყებელია იმისა, თუ რა ძრიერ ძალას შეუტოკებია სამშობლოს გული! ცრემლი შემშრალა. ჭაღარა საქართველოს დაავიწყდა ცრემლთა უნარი. დღეს მხოლოდ ბღუილი ჰხდება მკერდიდან, მხოლოდ ყრუ კვნესა გაგრძნობინებთ მის მწუხარებას. ვაჟამ დასტოვა მთა... ვაჟამ დააობლა ბარი... ვაჟამ სიკვდილით შეაკრთო ჩვენი ქვეყანა. გვმართებსო გლოვა,— გაისმის ყოველმხრით ნაცარწაყრილ მოჭირისუფლეთა მიერ, გვმართებსო ზარი, მაგრამ რაღაი გლოვა შეუძლიან გულს შეკუმშულსა, რომელსაც ცალი თვალი შორს გადაკარგულ ბარტყებისაკენ მიუპყვრია! რაღაი ზარი შეიძლება, რაღა ტირილი! განა თვით ვაჟა კი შეგვიწყნარებს ასეთს საქციელს! ფარ-ხმალის დაყრა? უიმედობა, სასოს მიხდა? არა, არას დროს! დღეს უფრო, ვიდრე სხვა როდისმე გვმართებს მხნეობა, რომ ჩვენი ეროვნული უბედურობა მართლა ეროვნულ სასოწარკვეთილებად არ მიიღონ მტერ-მოყვარეებმა; დღეს უფრო, ვიდრე სხვა როდისმე გვმართებს გავაკაჟდეთ, რომ ისედაც გულგატეხილთ არ შევამჩნევინოთ ბედის რისხვა, ბედის სიმუხთლე! დაე, უწყოდენ ყველამ, რომ გმირ არწივთა ძუძუთი ნაზარდი ბებერი ლომი კვლავ ფეხზე სდგას და სასიკვდილო მახვილს ვერავითარი უბედობა გულში ვერ დასცემს. ჩვენ გვწამს, ვაჟას ნაზარდი მართვები დაიზრდებიან, გვწამს, მათი სრბოლა წამოჰშლის ახალ რაინდებს, გვწამს, სამშობლო ენერგიის დაუშრეტელობა, გვწამს, ეს ენერგია აღმოჰხეთქს ახალს ძალას, ახალს ნაკადულს, გვწამს, რომ ჩვენი ზრდის პროცესი არ შეფარგლულა, გვწამს, მომავალი აციაკრდება ახალ ცხოვრებით! აი, ამ იმედით გამხნევებული საქართველო საკუთარ ხორცს იკვნეტს, სულის სიმწარეს მით იყრუებს, ამიტომვეა, რომ ასე უცრემლოთ მბორგვი, დამწვარი თვალის კილოებით მხოლოდ ყრუ დრტვინვით, ყრუდ მგმინავი აცილებს მგოსანს სამარადისო სარბიელზე სარსბოლველადა! იყავნ ნება საქართველოს ბედის წერისა! განისვენე მგოსანო მარადის!

## უდრეკი სული

ქართველ ერზე მრავალ მრისხანე ცხოვრების ტალღას გადაუვლია. მრავალჯერ დაუდგავთ მისთვის წამების გვირგვინი და მრავალჯერ დაუკოდნიათ სასიკვდილოდ, მტრის გასახარად; მაგრამ, როგორც მიჯაჭვულს ამირანს, ქართველ ერსაც არაოდეს გული არ გასტეხია; მოუკრეფია თვისი ძალა, ზარსა და რისხვას, ზარით და რისხვით შეხვედრია.

თუ ოდესმე ბარი გარეშე ძალთაგან ლონემიხდილა, მთაში აღზნებულა მამულიშვილთა გრძნობის გრიგალი, ჩამოუქროლნია ბარად ქართველ მოდუნებულ სულისთვის თვისი უდრეკი სული შთაუბერია.

აღმდგარა ერი, სული მოუთქვამს, ამაღლებულა. მისი სიამაყე და სიმშვენიერე მშობელ ბუნების სიამაყეს და მრავალფეროვან სიმშვენიერეს დასდარებია, მაგრამ —

კვლავ წამოსულა ცეცხლითა და მახვილით ძალა გამანადგურებელი და ათასის წლით ნაამაგდარი, ჩვენი სიმტკიცის ციხე-კოშკნი მტვრად უქცევია. ერი მთლიანი მრავალ ნაფლეთებად უქცევიათ, მაგრამ ქართველის უდრეკ სულს უკარნახებია: „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვიტკირსაო!“

ქართველ უდრეკ სულსა სადღაც შორს მთაში თუ გამოქვაბულში ყრუგასაგონად მომავალ საქართველოს რაინდთათვის „ნანა“ უმღერნია.

გასულა ხანი ჸ ქართველის სულს კვლავ უკარნახებია:

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო“:

და ასე მუდმივ ბრძოლაში, ცხოვრების აღმა-დაღმა მბრუნავ ცეცხლის ტალღათა ალში წრთობილა ქართველი ერი.

არა პირველი და არც უკანასკნელი გვეთხოვება დღეს ივერიელთაგანის უდრეკი სული!!

**სანდრო შანშიაშვილი.**

## ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების გამო

**დამკრძალავ კომიტეტმა** თავისს თათბირზე სურვილი გამოსთქვა, რომ მგოსნის კუბოს წინაშე 10 კაცის მეტს ნება არ მიეცეს სიტყვის წარმოთქმისა და სიტყვის დრო განსაზღვრული იყვეს.

---

**დამკრძალავ კომიტეტის** სხდომას, 31 ივლისს, გ. ლასხიშვილმა მოახსენა, რომ კიმიტეტის თავმჯდომარემ თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა ბოდიში მოითხოვა, რომ კომიტეტის სხდომებს ვერ დაესწრება, რადგან აუცილებელ საქმისა გამო სოფ. ავლევს მოუხდა წასვლა. შემდეგ კომიტეტმა, გ. ლასხიშვილის თავმჯდომარეობით, განიხილა ბიუროს მიერ შემუშავებული ცხედრის გასვენების წეს-რიგი, რომელიც გუშინ ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი, და მცირეოდენი ცვლილება შეიტანა იმაში. კომიტეტის შემუშავებული წეს-რიგის კონსპექტი ასეთია:

1) წირვა დაიწყება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დღეს 2 აგვისტოს, დილის 8 საათზე; 2) წირვის გათავების შემდეგ, 11 საათზე, იქნება წესის აგება; 3) ორი წევრი კომიტეტისა მიიწვევს დამსწრე მწერლებს, პრესის წარმომადგენელთ და საზოგადო მოღვაწეთ ძვირფას მგოსნის კუბოსთან, რომელიც მორთული იქნება ეკატერინე გაბაშვილის მიერ ქართველ ერის სახელით მიძღვნილ გვირგვინით და ცოცხალი ყვავილებით; 4) კუბოს გამოასვენებენ ეკლესიიდან მწერალნი, პრესის წარმომადგენელნი და საზოგადო მღვაწენი და სამგლოვიარო ეტლზე დაასვენებენ; 5) პროცესია გაივლის გოლოვინის პროსპექტით, ვერის ხიდით, მიხეილის პროსპექტით და მივა დიდუბის ეკლესიის გალავანში, საცა დიდებულ მგოსნის ნეშთს მიწას მიაბარებენ; 6) ცხედრის გასვენების დროს, კირკის ქუჩაზე, სახალხო სახლთან, გადახდილ იქნება მცირე პანაშვიდი.

გასვენება შემდეგი წესით მოხდება: 1) დროშები, ჯვრები და ხატები; 2) მგალობელთა გუნდი; 3) მოსწავლენი; 4) ქართველ ერის სახელით გვირგვინი, რომელიც მიაქვთ ქართველ მგოსნებს და მწერლებს; 5) დეპუტატები; 6) მგალობელთა გუნდი; 7) სამღვდელოება; 8) სამგლოვიარო ეტლი კუბოთი; მის გარშემო მწერალნი, პრესის წარმომადგენელნი და საზოგადო მოღვაწენი; 9) ეტლს მისდევენ მგოსნის ოჯახობა, ნათესავები და პატივისმცემელნი.

---

**სახალხო სახლთან** არსებულმა ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის გამგეობამ დაადგინა: 1) სამი თუმანი გადასცეს დამკრძალავ კომიტეტს ძვირფას მგოსნის დასაკრძალავად და დაკრძალვას დაესწროს გამგეობა მთელი შემადგენლობით.

---

**დეპუტატები პროვინციებიდან.** ვაჟას დასაფლავების დღეს დასასწრებლად ოზურგეთიდან ჩამოვიდა მაზრის თავად-აზნაურთა მარშალი თავ. კ. დ. ერისთავი და ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს წევრი კიტა აბაშიძე და ალ. კრინიცკი.

---

„კავკავის ქართველობა, მწარედ სტირის რა ძვირფას პოეტის ვაჟა-ფშაველას დაკარგვას, მრავალ ტანჯულ საქართველოს თავისს მწუხარებასაც უერთებს.—

**კავკავის განყოფილება“.**

---

ქუთაისის დრუჟინა, რომელმაც ეს-ესაა არის გაიგო სამშობლო პოეტის უდროვოდ გარდაცვალება, თქვენთან ერთად სტირის. აღარ არის ძლიერი ბუმბერაზი ვაჟა-ფშაველა. თანამედროვე ამირანის ანდერძი ძალას შეგვძენს, მომავალი ჩვენი ცხოვრება უკედ მოვაწყოთ.—დრუჟინის უფროსი პოლკოვნიკი **მანსვეტოვი.**

---

**დეპეშა ქუთაისიდან.** „პოეტ ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებისა და დაკრძალვის კულტურულ დაწესებულებათა კრებულის მიერ არჩეული კომიტეტი სთხოვს თბილისის დამკრძალავ კომიტეტს, კვირისათვის (2 აგვისტოს) გამოგზავნოს ქუთაისს 5 ათასი ცალი წიგნაკი და სურათი განსვენებულ მგოსნისა უფასოდ დასარიგებლად დაკრძალვის დღეს. დეპუტატები მოდიან. კვირას იქნება საერთო პანაშვიდი“.

**ივანე პურადაშვილი.**

# ომის დღიური

## მიმოხილვა

რუსის ჯარი თანდათან გამოდის იმ ტომრიდან, რომელშიაც იგი მომწყვდეული იყო უკანასკნელ გენერალურ ბრძოლის დროს. მის გარშემო შემორტყმული რკალიც ნელ-ნელა სწორდება და იშლება. კოვნო-რიგის მხრივ გადმოზნექილი ბრძოლის პირიც, როგორც ეტყობა, უნდა გასწორდეს, თუ გერმანელებმა მოკლე ხანში ვერაფერი დააკლეს კოვნოს, სადაც კვლავ ცხარე ბრძოლა სწარმოებს. ნარევის ხეობა, როგორც ეტყობა, მიატოვა რუსის ჯარმა, რომლის ფრონტი იწყობა დაახლოვებით ოსოვეცთან, ჩამოდის ვარშავა-ბელოსტოკის გზის სადგურ ჩიჟოვთან, დაეშვება სედლეცის აღმოსავლეთით, აქედან გადმოდის ბუგზე, ვლოდავასთან და ისევ ეშვება სამხრეთით დნესტრამდე.

შუაგულში რუსის ჯარი 50—60 ვერსით დაუახლოვდა ბელოსტოკ—ბრესტის ძლიერ ციხეთა ხაზს, რომლის წინ იგი უნდა შეჩერდეს და კვლავ გაუმკლავდეს მოპირდაპირეს.

**მ. ბ—ლი.**

# დეპეშები

**თბილისი, 31 ივლისი.** კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 29 ივლისს ზღვისპირა ადგილებში და ოლთის მიმართულებით სროლა სწარმოებდა. პასინის ხეობაში ოსმალებმა ორჯერ მოიტანეს იერიში მთელს ფრონტზე. ჩვენ ისინი 200 ნაბიჯზე მოვუშვით და ორჯელვე დიდის ზარალით უკან დავახევინეთ. დავატყვევეთ ერთი შტაბ-ოფიცერი, 5 უბრალო ოფიცერი და 130 ჯარისკაცი. ჩვენმა ერთმა ცხენოსანთა პოლკმა იერიში მიიტანა ოსმალთა მცირე რაზმზე სოფ. მარმუზთან, მრავალი დაჰხოცა და ტყვეებიც წამოიყვანა. ჩვენმა ცხენოსანთა რაზმმა მელიაზგერტთან დაატყვევა ერზერუმის სამხედრო სასწავლებელში ახლად კურს-დამთავრებული 24 ოფიცერი. დარკოტ-ბურნუბულახის მიდამოებში ჩვენთვის ხელსაყრელი ბრძოლა სწარმოებდა. ჩვენი ყაზახი ტრეპოჩკინი 7 ოსმალო მზვერავს თავს დაეცა ხმლით და ყველა ტყვედ წამოასხა. ფრონტის დანარჩენ ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

**პეტროგრადი, 31 ივლისი.** ოფიციალი. მიტავის სამხრეთ-აღმოსავლეთის რაიონში 30 ივლ. რუსებმა გერმანელებს მდინ. აასკენ დაახევინეს და თან რამდენიმე ტყვეც ჩაიგდეს ხელთ. აგრეთვე იაკობშტადტისა, დვინსკის და ვილკომირის მიმართულებით რუსებმა გადიტანეს და დასძალეს გერმანელთა სასტიკი იერიშები. კოვნოს რაიონში გერმანელებმა შეტევა შეასუსტეს, თუმცა საარტილერიო ბრძოლა ჯერ არ შეწყვეტილა. ნარევ-ბუგის ფრონტზე რუსთა კონტრ-იერიშებმა შეუმსუბუქეს დანარჩენ ჯარებს რაოდენადმე უკანა პოზიციებზე დაეხია. შუა ვისლის მხრით რუსებმა მიატოვეს სოკოლოვი, სედლეცი და ლუკოვი. ბუგის მარცხენა ნაპირზე საზოგადოდ 30 ივლისის განმავლობაში შეტაკება არ მომხდარა. ბუგის მარჯვენა ნაპირზე, ზოლოტოი ლიპაზე და დნესტრზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**შეერთებულ შტატების 10 წყალქვეშა ინგლისში.**

ამას წინად კანადიდან ინგლისს 10 წყალქვეშა მოუვიდა. გერმანული გაზეთები ამტკიცებენ, რომ ეს წყალქვეშები შეერთებულ შტატებშია აშენებული და მხოლოდ პრეზიდენტ ვილსონის რჩევით გამოიგზავნა ისინი კანადაზე. ვილსონი ასე იმიტომ მოიქცა, რომ შეერთებულ შტატებისათვის არავის დაეწამა „არსაითკენობის“ (ნეიტრალობის) დარღვევა. (რ. ვ.)

**ო ქ რ ო.**

გაზეთი „ნოვ. ვრ.“ იკვლევს რუსეთის ქაღალდის ფულის დაცემის მიზეზებს და მოჰყავს საინტერესო ცნობები იმის შესახებ, თუ რავდენი ოქრო ჰქონდათ მეომარ სახელმწიფოებს ომის დასაწყისში და რაოდენად შეიცვალა ამ ოქროს რაოდენობა იმავე სახელმწიფოებში ერთი წლის ომის განმავლობაში.

| სახელმწიფონი | ომის დას. | 1 წლ. შემ. |
| --- | --- | --- |
| ინგლისი . . | 378,8 მილ. მ. | 781,2 მილ. მ. |
| გერმანეთი. . | 622,1 „ „ | 1,103 „ „ |
| საფრანგეთი . | 1,534 „ „ | 1,472 „ „ |
| რუსეთი. . . | 1,744 „ „ | 1,679 „ „ |

**დაჭრილი ფრანგი ჯარისკაცები.**

ომში დაჭრილი ფრანგი ჯარისკაცები, რომელთაც აღარ შეუძლიანთ ომში მონაწილეობის მიღება, მოითხოვენ, რამე

ნიშანი ჰქონდეთ მათ ჩამოკიდებული იმის შესამოწმებლად, რომ ისინი არ ურბიან თავიანთ სამშობლოსადმი მოვალეობის და უკვე იყვნენ ბრძოლის ველზედ. საფრანგეთის ხალხი საშინელის ზიზღით უყურებს იმისთანებს, რომლებიც ბრძოლის ველზედ წასვლას გაურბიან, და მით „les embusguès“ ეძახიან. ამ ნიადაგზე მრავალი უსიამოვნება მომხდარა ქუჩებში და ამიტომ მთავრობამაც გადასწყვიტა დაჭრილთათვის ნიშნების დარიგება, რომ მით „კურდღლებად“ არავინა სთვლიდეს. (ნ. ვ.)

# პრესა

„აზრი“ არ სცხრება. 19 ივლისს ჩხეიძისა და ჩხენკელის დუმილის გარშემო ატეხილ დავაში თურმე „საქართველოს“

აჩქარებით მარცხი მოუვიდა, ამას ცნობდენ თვით „საქართველო“-ს რედაქციის ზოგი უფრო გაბედული და გულწრფელი წევრები, როცა მეორე დღეს სატახტო გაზეთები ნახეს. თუ გვაიძულებენ ჩვენ გამოვამჟღავნებთ მათ ნალაპარაკევს.

ვსთხოვთ „აზრის“ რედაქციას გამოამჟღავნონ ჩვენი რედაქციის „გაბედული და გულწრფელი წევრების“ ნალაპარაკევი, ხოლო სამის პირობით: 1) ეს ნალაპარაკევი სრულის **სიმართლით და სისწორით** უნდა იყოს აღნიშნული; 2) „აზრი“ საკითხის **არსებითს მხარეს** არ გადასცდეს, სადავო საგანი არ დაახურდაოს, და 3) ჩვენი პასუხი სავსებით დაიბეჭდოს „აზრში“.

# „ვარსკვლავი“

„ჩვენი დეპუტატების“ დანაშაულობა უფრო ღრმად და სავსებით ვიგრძენი, როცა წავიკითხე სატახტო გაზ. „დენ“-ში მოთავსებული კარლო ჩხეიძის მიერ თქმული სიტყვა, რომელიც გაზ. „აზრის“ თქმით — „თითქმის სტენოგრაფიულად იყო მოყვანილი“. ინტერესი მისდამი ისეთი დიდი ყოფილა, რომ „დენ“-ის ნომრები „ერთ მანეთად ფასობდა“.

ჩემი რწმენა უფრო განამტკიცა „აზრის“ აღშფოთებულმა და არევ-დარეულმა პასუხებმა, გაზ. „აზრშივე“ დაბეჭდილ მის რედაქციის 4 მოსამსახურის და თბილისის ტრამვაის 16 მუშის „საპროტესტო“ წერილებმა. აკლია მარტო „3 მებუფეტის“ ამგვარივე წერილი, რათა პროტესტი გაზ. „საქართველოსადმი“ სრულ უფლებით „ქართველ ხალხის“ სახელით გასაღებულიყო. მაგრამ „მებუფეტეებს“ აღარ გამოედევნენ და ამის ასანაზღაურებლად თავის ოთხ მოსამსახურეს საპროტესტო წერილი მუქარით დაამთავრებინეს:

„მოვაგონებთ ყველა ჯურის ნაციონალისტებს, რომ ჩვენ არასოდეს და არავის ნებას არ მივსცემთ შეურაცხყონ ჩვენი დეპუტატები“.

რასაკვირველია, ამ ყოვლად უადგილო ქუჩურ მუქარას გვერდს ავუხვევთ, რადგან არავითარ მუქარას, სიმართლის მისაფუჩეჩებლად მიმართულს, არ შევუშინდებით და კვლავ განვიმეორებთ, ზოგიერთ ახალ გახსენებით, ჩვენს ბრალდებას ქართველ სოციალისტებისადმი.

რამ ააღელვა სოც.-დემოკრატების ბანაკი? რამ აღაშფოთა, რამ დააწერინა საპროტესტო წერილები 4 მოსამსახურეს და 16 ტრამვაის მუშას?

თურმე „საქართველომ“ უსამართლოდ, უსაბუთოდ შეურაცხყოფა მიაყენა „ქართველ ხალხის სიამაყეს“ კ. ჩხეიძეს და ა. ჩხენკელს.

სანამ პასუხს გავცემდეთ არსებითად, საჭიროა ერთი აუცილებელი განმარტება შევიტანოთ. ჩვენი დასელების წერილები ისე არ იწყობა, რომ სოციალ-დემოკრატი დეპუტატები ქართველ ხალხის არჩეულ წარმომადგენლად არ მონათლონ. წამ და უწუმ შეხვდებით — „ქართველ ერის სიამაყე“, „ქართველ მშრომელ ხალხის“ ამორჩეული და სხვა. ეს სიმართლეს არ შეეგუება. გავიხსენოთ ახლო წარსული და მოვიგონოთ არჩევნები „ქართლ-კახეთის დეპუტატისა“ კ. ჩხეიძისა.

კარლო ჩხეიძეს მისცეს 23 თეთრი კენჭი: 15 სომეხმა, 1 ქართველმა უპარტიომ, (ივანე ჯაბადარმა), 7 სოციალ-დემოკრატმა,

21 შავი კენჭი: 16 ქართველმა, 1 ქართველ მაჰმადიანმა, 2 ბორჩალოელ თათარმა და ორი სომეხმა.

დამეთანხმებით რომ ჩასუქებულ სომეხ ვაჭრების 15 ხმა — ქართველ ერის ხმისაგან განსხვავდება, ამიტომ უხერხულია ამ ხმებით გაყვანილის „ქართველ მშრომელ ხალხის“ წარმომადგენლის სახელის ტარება. ეს ხომ ფაქტია, ფაქტი წარუხოცელი და ამოუშლელი. და თუ ხსენებულმა 15-მა სომხურმა კენჭმა გაათეთრა ჩხეიძე და გაიყვანა იგი დეპუტატის სავარძელში, ეს მოხდა სწორედ იმ ანტიქართულ პოლიტიკურ მოსაზრებით, რომელსაც ჩხეიძე, მისი თანამოაზრენი და ამომრჩეველნი აქამდის აწარმოებდნენ. რა გასაკვირველია რომ დღესაც კ. ჩხეიძემ წაიყოლა ცოტა სხვა ფერის სოციალისტიც — ა. ჩხენკელი და დააგვირგვინა თავისი „მოღვაწეობა“, 19 ივლისს, სათათბიროს ისტორიულ დღეს, — სიჩუმით: მან არ მოიხსენა არც ქართველ ერის მრავალი და განსაკუთრებული წყლული და არც საქართველო.

ესეც ფაქტია. ფაქტი დაუმალავი და ვერავითარი სტენოგრაფიული ანგარიშები ვერ აღადგენენ იმას, რაც ნათქვამი არ იყო კ. ჩხეიძეს მიერ. და თუ „აზრელები“ რაღაცას მოელიან პეტროგრადიდან ჩვენ ბრალდების გასაბათილებლად, სჩანს იგრძნეს რაღაც უხერხულობა, რომ ქართველ ერის ასეთ განწირვის დღეებში, როცა მრავალ სხვა ერთა წარმომადგენელ, — სოციალისტები გაშმაგებულად მარტო თავის მშობლიურ ინტერესებს იცავენ, მათმა კ. ჩხეიძემ თითიც არ გაანძრია საქართველოსთვის.

ეხლა სცდილობენ სხვანაირად გააქარწყლონ ჩვენი გულწრფელი და სამართლიანი აღშფოთება. ისევ მიმართეს თავის ძველ იარაღს — ათასგვარ ცილისწამებას, სიყალბეს და თავის მდაბიო და პატიოსან მუშა ხალხს სხვადასხვა „ლამაზ სიტყვებით“, მწარე სინამდვილეზე თვალებს უხვევენ.

გვიპასუხებენ: როგორ? ლაჩარს ეძახით იმ ჩხეიძეს, რომელიც „ვეფხვივით“ იბრძოდა „ციმბირიდან ბალტიის ზღვამდე და არხანგელსკიდან შავ-ზღვამდე“ ყველა ჩაგრულთა ინტერესებისათვის?!

ჩვენ მარტივად და ნათლად ვაბრალებთ ჩხეიძეს ლაჩრობას, ქართულ საჭიროების არ აღიარებასა და დაცვაში, თორემ კარგად ვიცით, რომ ზოგისთვის და სხვებისთვის „ვეფხვივით“ დღეს მარტო კ. ჩხეიძე არ იბრძვის.

მაგრამ ქართველ ერს რა?

რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს **ქართველობისთვის** „ნიჭიერ და თამამ“ სიტყვას „ვეფხვ“ კარლო ჩხეიძისას?

ისეთივე, როგორც ჰქონდა ბევრად უფრო „ნიჭიერ და თამამად“ თქმულ სიტყვებს განსვენებულ სოციალისტ ჟორეს — ბებელისას.

არც ამათ სწამდათ საქართველო, არც კარლო ჩხეიძესა სწამს იგი.

ერთია განსხვავება: დღეს ჟორეს ბებელის მოწაფეებმა თვალები აახილეს და განსაცდელის დროს მიეშველნენ სამშობლოს, რომელსაც თავის მხარ-ბეჭით იცავენ, ჩხეიძემ კი სამშობლოს ზურგი შეაქცია და სხვების საშველად გაიქცა.

როდესაც სახელმწიფო სათათბიროში იწერებოდა პოლიტიკური სია ერებისა, საქართველო ამ სიაში არ მოხვდა, რადგან კარლო ჩხეიძემ ქართველ ერის ბედს გალიციელი ებრაელების ინტერესის დაცვა არჩია.

კარლო ჩხეიძის „ნიჭიერი და თამამი“ სიტყვა რასაკვირველია, გაახარებს და არგებს მემარცხენე რუსეთს, რომლისთვისაც ეს ამბავი არც ისე უსიამოვნოა და მასთან სასარგებლოა, რათა ნიჭიერი ქართველობა თავის მიზნებისათვის მოიხმაროს

მოიხმარს დი მიაგდებს.

როგორც მიაგდო მართლაც ნიჭიერი ქართველი ირაკლი წერეთელი.

მერე რა, დამშეულ, წალეკილ, გაღარიბებულ,

ქართველ ერს?

კ. ჩხეიძის ფანატიკოს სოციალისტის „საქვეყნო სახელი“!

და გაზეთი „აზრი“ სწორეთ ამით აკმაყოფილებს ქართველ ერს და მშრომელ ხალხს: მისი თქმით „ეს არის ვარსკვლავი, რომელიც უნათებს გზას ერის უმრავლესობას“.

ღმერთმა დაიფაროს „ქართველი ერის უმრავლესობა“ ასეთ „ვარსკვლავის“ მიერ განათებულ გზისგან.

იგი ხრამში გადააგდებს მას და ისე დაასახიჩრებს, როგორც დაასახიჩრა მისი რეალი ინტერესი 19 ივლის 1915 წელს.

„ვარსკვლავ“ კ. ჩხეიძეს „საქვეყნო სახელი“ ძვირად დაუჯდა ქართველ ერს.

დ. კახელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა მდგომარეობაშია დღეს ივერიის ეკლესიის საკითხი?

წერილი V *)

1905 წლის დეკემბრის დელეგატთა „პროექტი საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაციისა“ [2]) უცხოთათვის მოულოდნელი, მაგრამ არსებითად ნამდვილი იერიში იყო, რომელიც ქართველ საზოგადოებამ სამღვდელოებითურთ მიიტანა უკანასკნელ ასი წლის საეკლესიო ბიუროკრატიულ რეჟიმზე

დემოკრატიულ წეს-წყობილების აღსადგენად. ზნეობრივი გამარჯვება ცხადი იყო. 31 მაისის უმაგალითო ინციდენტს ქართველმა ერმა და მღვდელმა ერთის ხმით პრინციპიალური პასუხი გასცა: ამიერიდან ნუ გაერევა ეკლესია სახელმწიფოს და სახელმწიფო ეკლესიის საქმეებში. მკითხველი უსათუოდ მიაქცევდა ყურადღებას იმ გარემოებას, რომ „პროექტის“ შემდგენელთ ერთი სიტყვითაც ცუდად არ უხსენებიათ არამც თუ არც ერთი ეროვნება, საეკლესიო ბიუროკრატიაც კი. საკითხი განყენებითი ნიადაგზე იყო დაყენებული, რა სჯობს და რა არაო, და არავის პირად არ ეხებოდა.

მაგრამ ამისდა მიუხედავად „პროექტმა“ დიდი მიხლა-მოხლა, მწვავე კონტრ-იერიში გამოიწვია, მაგრამ „შეურაცხყოფილ“ უწყების მხრით კი არა, იმათგან, ვისგანაც ეს ყველაზე ნაკლებ მოსალოდნელი იყო, — სამღვდელოების მხრით, სხვა და სხვა ტომის სამღვდელოებისა. ამათ შეადგინეს და სადაც ჯერ იყო აფრინეს „წერილობითი მოხსენება უწმინდეს და უმართებელ სინოდისადმი ამიერ-კავკასიაში არა-ქართველ მართლმადიდებელ სამრევლოთათვის დამოუკიდებელ ეპარქიის დაარსების აუცილებლობის შესახებ“ [3]). ქართულ გაზეთებში ეს „მოხსენება“ არსად შემხვედრია და, ვგონებ, არც იყო. რუ-

[1]) იხ. „საქართველო“ № 40.

[2]) „Духовн. Вѣстн.“ 1906 წ. № 4.

[3]) „Святѣйшему Правительствующему Синоду докладная записка о необходимости учрежденія самостоятельной епархіи для православныхъ приходовъ съ не-грузинскимъ населеніемъ въ Закавказскомъ краѣ“.

# ვაჟა-ფშაველა.

(ესკიზი)

ვაჟა-ფშაველა იშვიათი მოვლენაა ჩვენს მწერლობაში. მისი ბედისწერა ფრიად წააგავს ბარათაშვილისას. განსხვავება მეტად მცირეა: თუ ბარათაშვილი ფეხმალ ჰუნემ გაიტაცა და სივრცეში გადატყორცნილი უჩინარ ჰყო — არა თუ იმ დროინდელ შორს ჭვრეტა განუვითარებელ საზოგადოებისთვის, არამედ თვით განწირულ მხედარ ბარათაშვილისთვისაც კი, სამაგიეროდ ვაჟა სათეატრო დეკორაციად დაგვრჩა, მზერით ვუმზერდით მართლაც და ცად აბჯენილს მის ბუმბერაზ ქედს, მაგრამ შემცნობით არა გვესმოდა რა მის სპეტაკი გენიოსობის. იგი საიდუმლო იყო, შეუმცნობელი და საიდუმლოდ რჩება დღესაც მრავალთათვის: ასეთი ყოფილა დიდ ბუნებოვან ადამიანის ტრაგედია, ასეთი დარჩა ვაჟას ბედიც.

მის თხზულებათა ანდამატივით მიმზიდველი ფურცლები თვალ წინ გიშლიან უცნაურს წალკოტს, სადაც ყოველს ბორცვს, ლალის ჭალაკს, ზურმუხტის მდელოს, კორდზე მოფენილ ია — ზამბახს თუ მაისის ვარდს ფოლადის ფერი დასდებიათ და წვეთ-წვეთობით მხოლოდ ერთ ჩანჩქერის ცვარ-ნამით იპკურებიან — ვაჟას მწველ ცრემლით! და აი; მათს შორის მონავარდე ვაჟას სული, ეს ტროპიკულ გრძნებით მქროლავი ქარიშხალი, დაეძებს არა პაროსის მარმარილოს, არამედ ვულკანის ალით გალაჟღაჟებულ ბრინჯაოს, თუ გნებავთ შავს კლდეს, რომ მის ალით მკერდიდან ამოჰკვეთოს თვის ოცნებათა-ოცნების გული და, ვით ნაძვნარის სურნელოვანება, ნელ-ნელა იკმევა მყინვარე მწვერვალთა ფიქრის ღრუბლებში, რათა ობოლ ვარსკვლავად აციაგრდეს და აელვარდეს.

ვაჟა მყინვარია, მისი სიტყვა — მყინვარის ფიქრით დანაკვესი ელვის ისარი.

ვაჟა უცილობლივ შორეულს ეკუთვნის. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მისი ვარსკვლავი ჯერ არც კი აციმციმებულა. ის დროს მოელის, დროს, ჩვენს სულიერს გარდაქმნას, ჩვენს ახალშობას, გასაღებას.

ნუ იფიქრებთ ცრუ სწავლას, ცრუ მეცნიერება-ფილოსოფიას დაემძიმებინოს მისი ნიჭის ფრთიი გადაშლილი პოეზიის ფურცლები და ამიტომ დაგვშორებოდეს, არა! იგი მხოლოდ ერთს წიგნს იცნობს და ეს ერთიც დიდბუნებოვანი ხალხის გულია ეს გენიოსობის დაუშრეტელი საჭურჭლე. ვაჟა მხოლოდ ამ ჭურიდან ჰსვამდა აპოლონის მათრობელა ნექტარს, მხოლოდ ამ ნექტარის ალკოჰოლით იყო მთვრალი და ცეცხლის ალად აგზნებული:

ვაჟა თვით ჯანსაღი ხალხის სულია!

ლაღი და ძალოვანი, მოკრძალებული და უაღრესად მორცხვი რაინდი იგი ერთსა და იმავე დროს სასტიკი რეალისტია, მისტიკოსი, მჭმუნვარე პესიმისტი და საოცარი ოპტიმისტი. შესაძლებელია მას არა თუ შეესწავლოს, არამედ არც კი წაეკითხოს ოგიუსტ კონტი, დარვინი, შოპენჰაური, სტუარტ მილი, ჰერბერტ სპენსერი თუ აზროვნების დამამშვენებელი ახალი თუ ძველი კერპები, მაგრამ ყველას ძმობილი კია, ყველას სულს იცნობს, ყველას ენათესავება. საღმრთო ცეცხლით ათრთოლებული მისი შემოქმედება სადაა ვით თვით ცხოვრება, მჩქეფრი და ძალოვანი, ვით იმავე ცხოვრების დაულეველი ენერგია, მისსავით მიმზიდველი, მისებრ გამჭვირვალე, მის მზგავსად აფრა მოფრიალე, ღრმა, შეკუმშული და კაჟის ნაპერწკლად დაკვესილი ღვთაების ცეცხლი. მისი პოეზიის ჯერ-ჯერობით ეგზოტიური ელვარება ჰმოწმობს მხოლოდ ჩვენს დაავადება-გადაგვარებას, ჰმოწმობს იმ უფსკრულის ამართვას, რაიც ჩვენსა და ხალხის შუა გაევლო. აბა ვაჟასებრ გავიდეთ ჩვენც ხალხში, ვისუნთქოთ სალი ბუნების ჰაერი, გავიზიაროთ მისი ტანჯვა, მისი ვაება, გავეცნოთ თვით მის სიხარულსა, რწმენას, ბედსა და უბედობას და მაშინ, მხოლოდ მაშინ მივხვდებით ვაჟას შეუმცნობლობის მიზეზს, მაშინ უფრო ნათლად დავინახავთ მის ფოლად სულს, რომელიც მხოლოდ ბუნების წალკოტზე ისვენებდა, მხოლოდ იქ ჰხედავდა ყოვლად შემძლე ადონაისსა.

ვაჟას ცხოვრება ფრიად მარტივია. ყოველივე შემთხვევაში საბიოგრაფიო მასალები რაც რომ დღემდის გადმოუციათ, საიმისო სირთულისას არას გვეუბნება. ჩვენ არა გვაქვს მგოსნის ავტობიოგრაფია, არც ვიცით, გვექმნება იგი თუ არა, ვიცით მხოლოდ, რომ დაიბადა ფშავეთში, სოფ. ჩარგალს, ღარიბ დედმამის ოჯახში, ვიცით ისიც, რომ პირველი სწავლა-განათლება სასულიერო სასწავლებელში მიიღო, მესამე კლასამდინ მიაღწია, შემდეგ გორის საოსტატო სემინარიაში გადავიდა, კურსს დაამთავრებს, წავა ჩარგალში მასწავლებლად, ორ წელს აქ დაჰყოფს, აქედან პეტროგრადში გაემგზავრება უმაღლეს სწავლა-განათლების მისაღებად, მაგრამ აქიდანაც მალე ბრუნდება ხელმოკლეობისა გამო, შემდეგ კერძო მასწავლებლობას სწევს, 1885 წ. ცოლშეილდება და ბოლოს კვლავ უბრუნდება სამშობლო სოფელს, სადაც თვის უკანასკნელ სიცოცხლის დღეს ატარებს მეურნეობაში, ხალხთან ტრიალში და ნადირობაში, როგორც ეს შეჰფერის მთაში აღზრდილს ადამიანს. მაგრამ ყველა ეს არა კმარა. დიდბუნებოვან ადამიანთა ბიოგრაფია იგივე ცხოვრების წიგნია, სიბრძნის კარაბადინი. სასურველი იყო მის სულიერ განვითარების ყოველი პერიპეტია გვქონოდა შესწავლილი, გვქონოდა აღწერილი, გადმოცემული.

არც თუ მის თხზულებათა სრული გამოცემა გვაქვს. ეს ზოგადი ავადმყოფობაა ჩვენი მწერლობისა. ვაჟას თხზულებათა მეათედი ნაწილიც არ არის გამოცემული და რაც გამოიცა ისიც ვაი-ვაგლახით. განა ვისთვის არის დაფარული ის მართლაც და ჩვენთვის სამარცხვინო მოვლენა, რაიც მოჰხდა, ვთქვათ, თუნდა ვაჟას „ცრემლების“ გამოცემის დროს. გვახსოვს და ისტორიასაც არ დაავიწყდება, თუ ის „ცრემლები“ მართლაც რა ცრემლების ფასად დაუსვა გამომცემელმა ავტორს...

მწერლობა ჯერ კიდევ საოსტატო სემინარიაში დაიწყო. მისი ნაწერები ლერმონტოვ-პუშკინის და საზოგადოდ რუს მწერლების გავლენის ქვეშაა. მთელი 1880—84 წ. პერიოდი ამ გავლენით აღიბეჭდება. შემდეგ იწყება განთავისუფლების ხანა, განსაკუთრებით 1884 წ., როდესაც ჟურნალ „ნობათში“ დაიბეჭდა მისი ცქრიალა პატარა მოთხრობა „შვილის ნუკრის ნაამბობი“. აქ გაიშალა ვაჟას ნიჭის ქორფა კოკორი, აქედან მოეფინება ჩვენს მწირს მწერლობას მისი მადლიანი სურნელოვანება. ეს იყო და ეს. რაც დღე მიდის, ვაჟა იმდენად მაღლდება. ფშაურ პატარ-პატარა სიმღერებს მოსდევს სერიოზული პოემები, როგორც, მაგალითად, „მოხუცის ნაამბობი“, „გოგოთურ და აფშინა“, „ალუდა და ქეთელაური“ და მრავალი სხვა მართალია, კილო ვაჟასი ჩვენს საზოგადოებას ეუცხოვა, მაგრამ გამოჩნდნენ შეგნებული პიროვნებანი, რომელთაც ალღო აართვეს ვაჟას ნიჭს და უნებურად ქედი მოიხარეს მის წინაშე. ვაჟაც ამით გამხნევდა, თითქოს ყველას იმას ეუბნება, რომ ერთის მიერ შეგნებით დაკრული ტაში მირჩევნიან უგნურთა შეუგნებელ ღრიანცალს და დაფნის გვირგვინის მორთმევასო.

ასეა თუ ისე ვაჟა დღითი დღე იზრდებოდა. პირველ პოემებიდანვე გაშალა პროგრამა შემდეგი მისწრაფებისა. აიღეთ სულ პირველი მისი პოემა „მოხუცის ნაამბობი“. მართალია, ვაჟას პოემის ანტურაჟი ლერმონტოვის „ბოროდინოდან“ გადმოუღია, მაგრამ მხოლოდ გარეგნული სახით. აქაც ძველი გმირი, როგორც „ბოროდინოს“ ინვალიდი, მოუთხრობს ძველ გმირთა საარაკო თავგანწირულებას. სიუჟეტი აქ თბილისს დასტრიალებს. იქ თუ რკინის სარდალი ნაპოლეონი ანგრევს რუსეთის კარის ბჭეს, აქ საქართველოს კარის ზღრუბელს გადმოლახავს ალამამადხანი. მაგრამ ფერადები, სურათთა ძალოვანება ხშირად ლერმონტოვისას აღემატება. ვაჟას საყვარელი გმირი ერეკლეც ფრიად წარმტაცი ხაზებითაა ნახატი, მთელი მისი კოლორიტი გხიბლავთ, გიზიდავთ. ძველი მოხუცი არწივი აჰა, ფირმანს ფირმანზე უგზავნის მთასა და ბარს, მიეხმარნონ ამ გასაჭირში. და აი, მეფის უნჯნი ყმანიც წამოიშლებიან, არწივსავით გამოჰკრავენ ფრთას მწვერვალთა კალთებიდან. თვალწარმტაცი სანახაობაა! ფარ-ხმლით მოწკრიალე რაინდები

„თითო ისეთი მოსჩანდა,
როგორც ვეშაპი ცხენზედა,
ზავთი იმათი ზღვას ჰგავდა,
კლდე უკელყელები მკერდზედა“,

ასე აგვირგვინებს ვაჟა თავის გმირთა სიკისკასეს, როდესაც ყველანი ფაცაფუცში არიან, მზადებაში, როდესაც თვითეული მათგან

„რკინასა იცმენ ტანზედა,
თავზე მუზარადს იდგავენ...“

აი, მორჩენ სამზადისს. დაეშვნენ კიდეც. აქ ფიცია საჭირო, ვაჟკაცური ფიცი და ისინიც არაგვის პირად მგზავრულის ვაჟკაცურ დაღიღინების დროს ანდერძად უტოვებენ ჩვენს წარსულის მჩქეფარ მოწამეს:

„არაგვო უყარაულე
ომში მიმდინარ ლაშქარსა,
თუ ვინმე გამოქცეული
ურცხვად მოადგეს შენს კიდეს,
ლამი აჰამე შერცხვენილს,
რომ სახლში აღარ მოვიდეს ..“

ნამდვილი რაინდული ფიცია!.. მაგრამ ფიცზე არა ნაკლებ საინტერესოა თვით ბრძოლის სურათიც. აქ ვაჟას ხელოვნებამ კლასიკურ სიმაღლესააღწია:

„...ხმალთ სტვენას, ცხენთა ჭიხვინსა
ბანს აძლევს სისხლის ჩხრიალი,
და თავმომწონე დროშებსა
ჰაერში გააქვს ფრიალი.
აბრეშუმზედა ნაკერი
ბრწყინვალებს ჩვენზე ჯვარია,
იმისი შემაცქერალი
იბრძვის ქართველი ჯარია,
იბრძვიან გამწარებულნი
თითო ოც-ოცის მკვლელია და სხ.

ასეთია ეს პირველი პოემა ვაჟა-ფშაველასი, ეს პირმშო ქალწული მისი მგზნებარე ნიჭისა. ამონაწერიდანაც აშკარად სჩანს, ვის, ან რად ევლებოდა ვაჟა თავზე, ვის, ან რად უდაფნიდა ექლის

მაგრამ ფიზიკური ძალა ფიზიკურ ძალითვე იძლევის. ქართველთა ზეკაცურ გამკლავებას საბოლოოდ სტეხს აღამამადხანის ულევი ლაშქარი, რის გამოც ამ შავბნელ ომში

„გასწყდენ სამშობლოს ერთგულნი,
მტრისა სისხლითა მთვრალნია,
დაიგეს მიწის ლოგინი,
დახუჭეს მუდმივ თვალნია“*).

*) იხ. ვაჟაფშაველას თხზულებათა პირველი ტომი, გამოცემული 1899 წ. გვ. 12, 9, 10, 15, 16.

სულად კი დაიბეჭდა „რუსსკი სტიაგში“ და „პეტროგრადის უწყებებში“ ნ. დურნოვოს ბიბლიოგრაფიული წერილებში. არსებობს ცალკე ბროშიურაც. „მოხსენება“ საკმაოდ ვრცელია, სრული ფურცლისა (in folio) თოთხმეტი გვერდი. თუ როდის არის შედგენილი, თვე და რიცხვი არ უზის. მაგრამ როგორც გაზ. „სიტყვიდან“ სჩანს, შედგენილი უნდა იყოს 1906 წლის თიბათვის პირველ რიცხვებში [4]), ესე იგი „საქართველოს ეკკლესიის რეორგანიზაციის პროექტის“ შედგენიდან ნახევარ წლის შემდეგ. ავტორების ვინაობის შესახებ „მოხსენებაში“ შემდეგი შენიშვნაა: „მოხსენება ესე მიერთვა უწმინდეს და მმართებელ სინოდს სასულიერო უწყების სასწავლებელთა წარმომადგენლების და საქართველოს ეპარქიის რუსი სამღვდელოების კეთილ-მოწესეთა და დეპუტატების სახელით“.

„მოხსენების“ არავითარ ახსნა-განმარტებას ჩვენ ამ წერილში არ ვკისრულობთ. ეს ამ დროებით მეტიც იქნებოდა და უადგილოც. მოვიყვანთ მხოლოდ და მარტო შინაარსს მისას, რამდენად საჭიროა იგი ისტორიულ მიმოხილვისათვის.

თუ ვინიცობაა ივერიის ეკლესიას ავტოკეფალია მიენიჭოს, იმ შემთხვევაში საჭიროა და აუცილებელი, რომ ამიერ-კავკასიაში რუსების, ბერძნების, ოსების, აისორების, უდინელების და სხვა არა-ქართველ მადიდებელთა ეკლესიები ცალკე ეპარქიად გამოიყოს და ამ ეპარქიაში დაინიშნოს ქართველ პატრიარქ-კატალიკოსისგან დამოუკიდებელი რუსი არქიეპისკოპოსიო,—ასეთია დედა-აზრი „მოხსენებისა“.

ცალკე, ქართველებისაგან განკერძოებულ საარქიეპოსკოპოსოს დაარსებას „მოხსენების“ შემდგენელნი ასე ასაბუთებენ. ამიერ-კავკასიის მარტო აღმოსავლეთ ნაწილში 218 სამრევლოა რუსების, ბერძნების, ოსების და სხვა არა-ქართველ მართლმადიდებელთა. თუ-კი მთელ სუხომის ეპარქიას 104 სამრევლო შეადგენს, კავკავისას 200 და ფინლიანდიისას 100, მაშ რატომ 218 სამრევლოს არ უნდა ჰყავდეს საკუთარი ეპისკოპოსი? დიახ რომ საჭიროა და მით უმეტეს საჭირო, რომ გადმოსახლებულ რუსებს მოვლა-პატრონობა აკლიათ. საყდრები და სამლოცველო სახლები მათ არა აქვთ და ღირსეული სამღვდელოება არ გააჩნიათ. „მართლა და ვინ არიან მღვდლები რუსის სამრევლოებში?“—ჰკითხულობენ „მოხსენების“ ავტორი და შემდეგს პასუხს იძლევიან: „უმეტესობა გაუნათლებელია და საეჭვო ზნეობისა. ესენი შიდა რუსეთიდან გადმოხვეწილნი არიან. ბევრი მათგანი რუსეთის ეპარქიებში არამც თუ მღვდლისა და მთავარ-დიაკვნის, უბრალო მედავითნის ადგილსაც ვერ ეღირსებოდა. ესენი მოგზაური ფრინველები არიან. სამწყსოზე არა ზრუნავენ. ზოგიერთნი ეღირსებიან თუ არა მღვდლობას, უკანვე რუსეთში მიისწრაფიან. ზოგნი სამრევლოდან სამრევლოში დახეტიალობენ, ერთ თუ ორ წელიწადში სამ-სამ ადგილსა იცვლიან. ადგილობრივ მკვიდრთაგანი რუსის სამრევლოში მღვდლებად მიდიან ხოლმე დაბალი განათლების მედავითნენი, ამნაირივე განათლების ცენზიანი მასწავლებლები საეკლესიო და სამინისტრო სკოლებისა, მწირნი, საყდრის დარაჯნი, წვრილი მოხელენი, დაბალი ხარისხის სამხედრონი, ნოქრები, კონდუქტორები, რომელთაც გამოძიება და გასამართლება მოელოდათ, და სხვა ამგვარნი. ესენი ყოველსავე მწყემსობრივ იდეალებს მოკლებულნი არიან, ვერსად ფეხს ვერ იკიდებენ, სამრევლოდან სამრევლოში ხეტიალისადმი მიდრეკილება აქვთ, ამიტომ რუსის სამრევლონი დიდი ხნობით უმღვდლოდ და უწირვოდრჩებიან, ხალხი უზიარებლად იხოცება, მიცვალებულნი წესის აუგებლად იმარხებიან“.

ამიტომაც არის, რომ რუსის სამრევლოში ხანდახან ქართველი მღვდლები ინიშნებიან. მაგრამ ეს ხომ სრულებით უმღვდლობაზე უარესია, რადგანაც რუსები ვერ ეთვისებიან ქართველ მღვდლებსა. „ცხვარი სხვაა და თხა სხვააო“— სთქვა ერთმა გადმოსახლებულმა რუსმა. შეიძლება ცოტათი მკვახედ, მაგრამ სწორედ არის ნათქვამიო, შენიშნავენ მოხსენების“ ავტორნი. როცა ბერძნების წირვა-ლოცვას და ზნე-ჩვეულებათ აკვირდები, ცხადად ჰგრძნობ, რომ რუსებმა ბერძნებისაგან მივიღეთ სარწმუნოება. სულ სხვანაირია ქართველი, ის ჩვენ როდი გვგავს. ქართველებს უყვარდათ და უყვართ ტაძრების შენება, ხშირად ერთი ოჯახი აშენებს ტაძარს და ამიტომაცაა, რომ საქართველოში მრავალი ტაძრებია. მაგრამ თვით ტაძარი, იქ სიარული და მით უმეტეს წირვა-ლოცვა, განსაკუთრებით ხანგრძლივი, ქართველებს არ უყვართ. ქართველი შევა საყდარში, აღიპყრობს ხელებს, მუხლებს მოიყრის, დაანთებს წვრილ, კაპიკიან სანთელს და არხეინად უკან მიდის. ანდა სრულებით არ შედის შიგა: მივა კარებთან, პირჯვარს გადაიწერს, აკოცებს კედლებს და განაგრძობს გზასა. ქართველების საყდრებში ხშირად გაიგონებთ მლოცველთა თავისუფალ ლაპარაკს, მოურიდებელ სიცილს. დედაკაცები არხეინად სხედან იატაკზედ, ხშირად ძინავთ კიდეც. შემდეგ „მოხსენება“ ასწერს ჩვენებურ ხატობას, სალმრთოს, საკლავების ხოცვას, საყდრების კარ-მიდამოში გაშლილ სუფრას—და თქვენც ადვილად მიხვდებით, რა ფასს ადებს ამ ჩვეულებათ.

ტაძრისადმი გულგრილობაში ქართველი მღვდელი არ ჩამოუვარდება თავის მრევლსა. ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნეში პატრიარქმა მაკარიმ შეამჩნია, რომ ქართველი სამღვდელოება სამწყსოზედ არა ზრუნავს. ქართველი მღვდლები დიდი ხნობით უმღვდლო-უპატრონოდ სტოვებენ თავიანთ სამრევლოს და თვითონ ხან სად და ხან სად არიან. ქადაგებას გაურბიან. სკოლებშიაც რამდენადაც შეიძლება თავს აღწევენ სალმრთო სჯულის მასწავლებლობას. ასეთი სულიერი ავლადიდების პატრონი ქართველი სამღვდელოება არ უყვართ რუსებს და ხშირად თავს აბეზღებენ ეგზარხოსებს, მოგვაშორე ქართველი მღვდლებიო.

მით უმეტეს სახიფათოა ქართველის გამწესება რუსის სამრევლოში, რომ ქართველებში ძლიერ განვითარებულია ნეპოტიზმი (ნათესავებისადმი მიკერძება). საკმარისია, რომ ქართველმა მღვდელმა რუსის სამრევლოში გაიდგას ფეხი—და ირგვლივ მედავითნის, მასწავლებლის თუ სხვა მაგისთანა ადგილებს მისი ნათესავები იჭერენ. ქართველ მღვდლების დაუდევრობის წყალობით ზოგან მართლმადიდებელი რუსები მალაკნები გახდნენ.

ქართველები ოსებსაც სწვდნენ. ოსებში ბლომადაა ქართველი მღვდლები. ბერძნების სამღვდელოება ძლიერ გაუნათლებელია. მაგრამ განსაკუთრებით აისორებს, უდინცებს და გამართლმადიდებულ სომხებს ესაჭიროებათ რუს არქიეპისკოპოსის მოვლა-ყურადღება.

წმინდა სანთლის ქარხნის შენახვა და სასულიერო სასწავლებლების ხარჯი უმეტესად რუსებს და ბერძნებს აწევთ კისერზედ. ერთი სიტყვით, „ქართველი სამრევლონი სხვისი ხარჯზე ცხოვრობენ და უკანასკნელ წვენსა სწოვენ“.

განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მიაქციონ „მწვალებლებს“, რომელნიც რუსებთან ერთი სისხლისანი არიან. რუსეთიდან გადმოსახლებულთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს. ძლიერ გასაოცარი იქნება, რომ გადმოსახლებულთა საეკლესიო საქმეთა მოწესრიგება ქართველ კათალიკოსს მიენდოს და ან მის ზედამხედველობას თუ ქართველ საეკლესიო მთავრობას დაემორჩილნენ ესენი, იმ ქართველ საეკლესიო მთავრობას, რომელიც საეჭვოა თანაუგრძნობდეს ამიერ-კავკასიაში რუსების გადმოსახლებას, რასაც, ვგონებ, თვით ქართველნი არ ჰყოფენ უარსა.

ცხადია, რომ რუსებს და საერთოდ არა-ქათველ მართლმადიდებელთ უნდა ჰყავდეთ საკუთარი რუსი ეპისკოპოსი და ეს უკანასკნელი უნდა იყოს სრულიად დამოუკიდებელი ქართველ კათალიკოსისაგან. რუსის ეპისკოპოსის ქართველ კათალიკოსის ხელქვეითად დაყენება მაშინ შეიძლებოდა, ამიერ-კავკასია სხვა სახელმწიფოს რომ ეკუთვნოდეს. მაგრამ ღვთის წყალობით ეს ასე როდი არის. ამიერ-კავკასია რუსის სახელმწიფოა, „მისი ნაწილია, როგორც რომელიმე ტულის ან ტომის ეპარქია“.

აი იმ მიზეზებისა გამო საჭიროა მოისპოს ეგზარხოსის თანამდებობა და დაარსდეს კათალიკოსისაგან დამოუკიდებელი კათედრა არქიეპისკოპოსისა არა-ქართველ მადიდებელთათვის. აუცილებელია გაიხსნას ცალკე სასწავლებლებიც. რაც შეეხება კერძოდ სასულიერო სემინარიას, ჩვენ გვაქვს ახალი შენობა (ვაკეზედ), ხოლო მის შენახვას შეიძლება მოხმარდეს ის თანხა, რომელსაც უწმინდესი სინოდი ოდესმე ქუთაისის სემინარიას აძლევდა. ვაჟების სასულიერო და დედათა საეპარქიო სასწავლებლების შენობები შეძენილია როგორც ქართველების აგრეთვე რუსების ხარჯით და ამიტომ რუსებს სრული უფლება აქვთ ქართული საეკლესიო ხაზინიდან აინაზღაურონ თავიანთი დანახარჯი, ამნაირად ცალკე საარქიეპისკოპოსოს დაარსების საქმეში არავითარი დაბრკოლება არ გვეღობება წინა.

ამითი თავდება „მოხსენება“, თუ არ ვიანგარიშებთ იმ ცხრილს, რომელიც დართული აქვს „მოხსენებას“ იმისი დასამტკიცებლად, რომ რუსი ეგზარხოსებს არა სცალიათ რუსთა სამრევლოთათვის ყურის საგდებლად.

[4]) „სიტყვა“ 1906 წლისა № 11.

**დეპუტატი ჩხეიძე სახელმწიფო სათათბიროში**



კუდა ხარი თავისთვის არ იყო, სხვას ბუზებს უგერებდაო.

გვირგვინით დასერილ შუბლს, ვის, ან რად იხდიდა სალოცველ ხატადა, ანუ შემდგში საით ან ვისკენ იქნებოდა გადახრილი მისი შემოქმედებითი ნიჭი. იგი თავს ისე ჰგრძნობდა, როგორც სამშობლოს რწმუნებული დევ-გმირი მებუკე, როგორც განწირული რაინდი, როგორც ცეცხლის მფრქვეველი ამირანი. არის რაღაცა ბარბაროსული რამ მის გმირულ გამოსვლაში, მის სულის მისწრაფებაში, როდესაც ბრძოლის სურათს აგვიწერს რაღაც ველური აღფრთოვანებით: აი, სხვათა შორის რას ამბობს მოხუცის პირით:

„ომი ქორწილი მეგონა,
სისხლის რუ—წყარო მდინარი“-ო.

ვაჟა სულით და გულით თანაუგრძნობს ამ მთხრობელ მოხუცს, სიხარულით აღარ იცის რა ჰქნას, როდესაც მოხუცს სისხლის დანახვაზე

„მკლავნი უწყებენ თამაშსა
და ურბენს ჟრუანტელია“.

ვაჟა არა თუ ჩვენი სამშობლოს რწმუნებული გმირი მგოსანია, არამედ ჩვენი ისტორიისაც. იგი დაიბადა ჩვენი პოლიტიკურ დამოუკიდებლობის სიკვდილის პროცესის დროს. პოლიტიკურ სიკვდილის მაყურებელი ვაჟა სამშობლოს გულიდან აღმოხეთქილი პროტესტია ამ ორმაგი მიმდინარეობის ჩასაქრობლად. ამიტომაც არის, რომ მისი მგზნებარე პოეტური გრძნობა სამსონის ძალას იკრებს და ელვის რახტის ტყლაშუნით სცდილობს ტალღა შეატრიალოს, იგი ჯადოსნურ სარკეთი გვახედებს წარსულისკენ, სადაც გმირნი გმირობდნენ, სადაც მამულიშვილობა არა თუ ფეხწამოსაკრავი და საძრახისი, არამედ სათაყვანისმცემლო მოვალეობა იყო. მთელი ჩვენი მომავალი ვაჟამ ამ რომანტიულ ნიადაგზე ააშენა, აქ ეძებს იგი ხსნას, აქედან ლამობს სიცოცხლის ნერგი მოგვთავაზოს გადაგვარებულთ, ჩაგვბეროს მივიწყების სარბიელზე ობოლ დროშასავით მოფრიალე მამა-პაპათა ძლიერი სული და მით გვაღირსოს ახალი განთიადი, ახალი სიცოცხლის დასაწყისი. ულრმესი თაყვანისცემა ჩვენს ისტორიის დამამშვენებელთა სახელების წინაშე, როგორიც არის თამარი, ანუ ერეკლე, მას კერპმსახურად ჰხდის. შეუძლებელია ამ დროს თქვენც არ გაინაწილოთ მისი ზეაღმაფრენი გატაცება, შეუძლებელია თუნდა ურწმუნო თომას სამოსელი წუთით მაინც უკუ არ აგდოთ და მგოსნის აღტაცებას თქვენი სიამოვნებაც არ დაურთოთ. აი ნიმუშიც:

„ერეკლე ცხენზე ჰშვენოდა
მამაცად მოცქირალია:
უხდება ბებერ არწივსა
შეჭმუხვნით სახე მკრთალია;
მთელი სიტურფე ქართლისა
იმას ესვენა მხრებზედა,
როგორაც შუქი მთვარისა
იალბუზისა ქედზედა,
ზედ აკვდებოდა საცმელი,
წმინდად ნალესი ხმალია... და სხ.[2]).

ვაჟას მხედრული სული მხედრულ იდეალს ეთაყვანებოდა, ამიტომ არის, რომ ვერ ნახავთ მის პოემებში ერთ ბწკარსაც, სადაც ყოველი სიტყვა ბრძოლის ქურაში არ იყოს გამოწრთობილი. დიადი სურათები ჰომიროსისას მეტოქეობას გაუწევს. ეს პარადოქსი ნუ გგონიათ. აიღეთ მისი დასრულებული პოემა „ბახტრიონი“. ჰომიროსის სულს უმალ იცნობთ როდესაც პოემის ზევსურ შესავალს წაიკითხავთ:

„დღემ დაიხუჰა პირბადე,
მთებმა დაჰხუჭეს თვალები.
აღარ შფოთობენ საფლავში
გმირთ ოფლის მღვრელი ძვალები.
ქარი ქვითინებს... ღრუბელთა
ზარი თქვეს შესაზარები და სხვა.

ანუ

იქიქრ-იბანდა, ცისკარი
სულს ჰლევდა, ნელ-ნელ ჰქრებოდა.
ნეტავი ყველა ლამაზსა
ასე სიკვდილი ჰხვდებოდა.
დღეს მკვდარი, ხვალე დილითა
ცოცხალი დამიდგებოდა...
. . . . . .
გადვიდნენ ალაზნის თავსა,
მთების წვერები ჩნდებოდნენ...
ზოგნი ცის გულძკერდს ჰკოცნიან,
ზოგნი უკანა რჩებოდნენ,
იმათ ჩაუთქამ ქვეყანა,
ბუნების სისხლით ძღებოდნენ...
მზე რომ მოვალის, მაშინის
შავს ნისლებს გადაიყრიან,
თუნდ მთლად ქვეყანა დაეცსთ,
აბჯართ არ ჩამოიყრიან.
გულ-მკერდს ერთმანეთს აბჯენენ,
წარბ-შეუხრელად მდგარნია...
ნეტავ ბუნების ქმნილება
სხვა მათ რა შაედარება,
მალ მალე შავი ჯანყები
თავზედ რომ დაეფარება?
ნისლი ფიქრია მთებისა,
იმათ კაცობის გვირგვინი. [3])

რა დიდებული სურათებია, რა წარმტაცი მეტაფორები! „მთებმა დახუჭეს თვალები“, ანუ „ნისლი ფიქრია მთებისა, იმათ კაცობის გვირგვინი“,—ეს ხომ შედევრია ჩვენი თანამედროვე ლიტერატურისა! ჰომიროსისებური ლაღი სრბოლა, ცად აბჯენა, ცის კოცნა, მწვერვალთა ქადაქელვა,—ეს ხომ გენიოს მხატვართა პოლიტრიდან მოპარული ფერადებია! მერე სად ნახა ვაჟამ გენიოსი მხატვარი? ან ვინ იყო, ვისი სახიერების წარმომადგენელია ეს უცნაური პიროვნება? რა თქმა უნდა, სამშობლო მისი და უწინარეს ყოვლისა ფშავეთი, სადაც დაიბადა ჩვენი მგოსანი, სადაც ბუნება თვითვე ჰქმნის გრანდიოზულ სახეებს, სადაც ღმერთები ჯერ კიდევ არ დახოცილან და გმირ მთიელთა შორის სალაზღანდაროდ ჩამოდიან დაბლა მიწაზე. მაშ რათ გიკვირთ, თუ ვაჟას გმირებიც დევებად, ტიტანებად მოგეჩვენებიან? აიღეთ „ბახტრიონი“, აქ ყველა გმირი ღმერთ-კაცია. ზეზვა, ლუხუმი, ხოშარეული, კვირია—ეს ხომ საზღაპრო გმირებია, რომელთა წარმოშობა მხოლოდ მთას შეეძლო. სანათა—ეს ხომ „ქართლის დედის“ ტანჯული სახიერებაა, ვის მწუხარებას ვერარა მდულარება ვერ ჩიმორეცხავს, ვიდრე საგოდებელი მისი „ბახტრიონის“ გალავანს მისჯაჭვია...

ვაჟას ფიქრის „სახატე“ მხოლოდ მისი სამშობლოა, საქართველო, მისი ხსნა. ისე სჩანს, თითქოს მას ამას იქით სხვა საზრუნავი, სხვა რამ საფიქრებელი არა აქვს რაო. ნუ იფიქრებთ, მწვერვალებიდან როდისმე დაეშვას, ან ერთხელ როგორმე გზა აუხვიოს და, ვთქვათ, დაგვისურათოს თუნდა სოფლის ცხოვრება, მუშაობა, მცელავი, მეხრე, არა, იგი თუ რკინას სჭედავს მთის გამოკვეთალ სამჭედლო გულში არა გუთნისთვის, არამედ მკვეთრი მახვილის გამოსაკვერად, რომ ყოველისფერი მხოლოდ ერთს რამეს შესწიროს, რომლის სახელი საქართველოს ბედისწერაა. მაზე ფიქრმა წელში გაჰლუნა ჩვენი მგოსანი. ერთხანად უიმედობის ვულკანმაც კი იფეთქა მის გულში. ეს მოხდა მაშინ, როდესაც სინამდვილეს ჩაუკვირდა დი მის რომანტიულ გატაცებას ფრთა შეეკვეცა. იგი დარწმუნდა, რომ გმირნი, ვისაც იგი დღე მუდამ უყიოდა, მხოლოდ ძველ რაინდთა აჩრდილნი არიან, ნამდვილი „ლეშნი“, რომელთაც თვით „ფიქრიც-კი“ ლეშად ჰქცევიათ. და ამ ხრწნილებაში მყოფს განა კიდევ ლა ეჭირვება აღმაფრენის ფრთები? ან რაღაი ოცნება და იდეალის აღყვავებას უნდა ველოდეთ ასეთს წრეში? და აი, ჩვენი მგოსანიც მწუხარებით გვეკითხება:

„რა ჰქვიან ასეთს სიცოცხლეს,
რა ჰქვიან ასეთს ყოფასა?“

და რომ მოპასუხეს ვერა ჰხედავს, თვითვე უპასუხებს თავისთავს:

„ვერ მანუგეშებს ვერავინ
ვერც შვილი, ვერცა ტოლია;
აღარ მყავს, ისიც მომიკვდა
ძაღლი რომ მყავდა ბროლია;
ბრჭყალით ვუპყრივარ სევდასა,
როგორც არწივსა გნოლია,
შინ ზღვა არ მიშვებს ცრემლისა,
გარედ—ქარი და თოვლია,
და საიქიოს გმირთ რისხვა,
სირცხვილი თანამყოლია...“

რა უძირო კაეშანია! მგოსანი სევდის კლანჭებში გნოლსავით გაბაწრული, მგოსანი ერთად-ერთ მეგობარ ბროლიას დამკარგველი,—ეს ხომ მსოფლიო გოდების გამოძახილია, ეს ხომ სასოწარკვეთილი იერემიას ვაებაა! რა აწუხებს მგოსანს, რა ქვეყნის დარდი შემოსწოლია? იქნებ ინდივიდური ყოფნა—არყოფნის საკითხი აწუხებს? არც ერთი და არც მეორე. მისი სავონებელი ისევ „ბახტრიონის“ აღებაა, მაგრამ უბედურებაც სწორედ ის არის, რომ მგოსანი ულეველ ძალას ჰგრძნობს მკლავში, შეუძლიან თვით ტიტანებს ბრძოლად მოუხმოს, მაგრამ რა ჰქნას, რომ მისი ბედი ამირანისას დაემზგავსა, რომელსაც

„ხმალიც გვერდს უძევს, გოშიაც
ერთგულად უღრღნის რკინასა,
არც ხმალი მოდის გმირთანა,
ვერც თვითონ სწვდება იმასა“...

აი, ეს არის ვაჟას სულის ტრაგედია, ესა ჰკლავს, „ბახტრიონის“ აღება კი შეიარაღებას მოითხოვს, თორემ რა ბედანაა ასე ყოფა

საით და როგორ ვეომოთ,
ნეტავ, უხმლონი ხმლიანთა“-ო.

გვეუბნება პოეტი. მაშ რაღა გასაკვირველი იქნება, თუ ბორკილების მრხეველი მგოსანი საყვედურს სტყორცნიდა შემოქმედსა:

„როდემდის უნდა, არ ვიცი,
ჩემს ხორცს კბილითა ვკვნეტავდე?“

ანუ:

„ვაფურთხებ, ვწყევლი უქნარსა
ამ დაოჩნებულს ყოფასა“-ო.[4])

ამიერიდან მისთვის ყოველი იმედის სხივი ჩამქრალია, ველარა რა ვერ ანუგეშებს. მისთვის ეხლა სულერთია, „გამოვა მზე თუ არა“, იცის, რომ მის სევდას ვერასფერი ვერ წარხოცავს, ვერავითარი მზე მას ვერ გაუთბობს დამზრალ იმედს, ისიც იცის, რომ „დაჭრილი სამშობლო“ უპატრონოდ, ასე ყვავ-ყორნების საჯიჯგნად უნდა დარჩეს ეულად ველად, მაგრამ... ნუ იფიქრებთ, ვითომც ვაჟა სულით დაეცა და წინასწარვე პასიურად ხელი მოაწერა თავის სიკვდილს. რა ბრძანებაა! მაშინ რაღაი ვაჟა იქნებოდა, რაღა „რკინის მკვნეტელი“ მთის არწივი იქნებოდა, თუ ლეგიონ მელანქოლიკთა სიაში ჩაეწერებოდა! ვაჟა თვით მწუხარებაშიაც დევ-გმირია! იგი იმ წრიპინა მოშაირებს არა ჰგავს, რომელნიც დულცინიათა უბრალო გათამაშება-გაბუტვაზე და თუთიყუშურ კაპრიზებზე უმალ ყურებს ჩამოჰყრიან და ჰამლეტის მანტია მოსხმულნი მოუწოდებენ ჯოჯოხეთს დამწვარ გულის ჩასაფერფლად და აქ

[2]) იგივე თხზულება, გვ. 8, 13.

[3]) ბახტრიონი“ ცალკე წიგნაკად გამოცემული 4914 წ. გვ. 1, 5, 52, 53.

[4] იხ. გვ. 222, 202, 161, 181, 177.

ვიმეორებ, რომ მომყავს მოკლე შინაარსი დაბეჭდილ „მოხსენებისა“ და არავითარი საკუთარი მსჯელობა თუ განმარტება მასში არ შემაქვს.

—**ახელი.**

(შემდეგი იქნება)

## წერილი ბათომიდან

აჭარის აოხრებამ ბათომის ბაზარზედ ძალიან დიდი გავლენა იქონია... აქ ამ დროს აჭარიდან შემოდიოდა დიდ ძალი ხილი: მსხალი, ვაშლი, თხილი, კაკალი, ქლიავი, ჰანჭური და სხვა, რაც ბლომათ მოდის აჭარის მშვენიერს ბაღნარში. თაფლს, რაც წამლათ არ იპოება ეხლა ბათომში—და თუ იშოვით, ისიც 60—70 კაპ. გირვანქას—შარშან ამ დროს 20—25 კაპ. იყიდდით აჭარელისაგან ნურიაში ან თათრის ბაზარზედ. მსხალს, ვაშლს ოყას შაურად იყიდდით, ეხლა კი—გირვანქას 8—10 კაპ. ნაკლებ არ იძლევიან. აჭარლებს შემოჰქონდათ ბათომში აგრეთვე „იალი“—კარაქი—და ყველი, რომელთაგან პირველი ფასობდა გირვანქა 35—40 კაპ. ახლა კი—70—80 კაპ. ხოლო ყველი მაშინ—15—17 კაპ. ახლა კი 30—35 კაპ.

ართვინის გზატკეცილზედ—საითკენაც მიდის აჭარის გზაც რომ გაგევლოთ შარშან ამ დროს, გზას ვერ აუქცევდით ჩაბალახიან—აჭარლების აუარებელ ქარავანს, დატვირთულთ ხილეულობით, უკან დაბრუნებისას კი—დატვირთულთ მარილით, საპონით, ფქვილით, ნავთით და სხვა წვრილმან საქონლით. ეხლა სულ სხვა სურათს ხედავთ იმ გზაზედ: უცბათ ავტომობილი გასრიალდება ან წითელ ჯვარის ეტლი წამოგადგებათ თავზედ. არსად მკვირცხლი აჭარლები, არსად მათი მთის ცხენები...

ეს რამდენიმე ხანია, რაც დიდძალი მუშა მუშაობდა ჭოროხის ხეობაში გზების გასაყვანად და თვით მდ. ჭოროხზედ ხიდის გასადებად.

წვიმები ამ უკანასკნელ დროს აქეთაც ხშირი იყო, რამაც არა ნაკლები ზიანი მიაყენა ამ მხარეს, ახლა კი გამოიდარა და სწორეთ ტროპიკული სიცხეები დაიჭირა...

**ტრ. ი—ძე.**

---

ხომ კარი ელება მათს „სიბრძნეს“, მათს ვაების „ფილოსოფიას“, რომ სიცოცხლე არადა ჰლირს, რომ კოსმოსი მხოლოდ უაზრო ქაოსია, სადაც ბოროტება სიკეთეზეგ ამარჯვებულია, სადაც უსახო, მახინჯი არიმანი ომუზდს თავპირის მტვრევით გადმოსტყორცნის კუპრის უფსკრულში. რატომ? როგორ თუ რატომ, დულცინიამ უღალატა... ან შეიძლება, დულცინიას სურდო შეხვდება, უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებელია დულცინიას „ოქროს ფეხის“ ოქროს თითზე მაზოლი გაუჩნდა და დულცინია ხომ მსოფლიოა!.. არა, ღმერთმა აშოროს ვაჟას ასეთ დულცინიათა გულისათვის ცრემლების ფრქვევა! მისი პესიმიზმი ჯანსაღი პესიმიზმია! იგი თვით სიცოცხლის ძახილი გახლავთ, დაუშრეტელი ენერგიის ბუმბერაზიტოკვა, ამირანის გულ-მკერდის ვულკანისებური ბორგვა, რომ თვით ჯოჯოხეთიც კი შეაძრწუნოს და სტიქიონის რახტს ელვის რახტითვე შეუტიოს. აი საუცხოვო ნიმუში მგოსნის დევ-კაცობისა, როდესაც მეფე ლირსავით თავშიშველი ქარიშხალ-სეტყვა-კორიანტელის დროს ეულად გაჭრილა ველ-მინდორზე და ცას უკივის საბრძოლველად:

„დამსეტყვე, ცაო, დამსეტყვე
აქა ვარ ჩემი თავითა,
გულითა გაუტეხელი,
მოუღალავი მკლავითა;
**რაც უნდა ჭირი მომკერძო**
**ბილწთ არ შევეკვრი ზავითა,**
**მცნებას ვერ შემაცვლევინებს**
**მოზღვავებულის ავითა.**
. . . . . . . . .
მჭვარტლიან ჩონგურს დავუკრავ
ათასჯერ, განა ერთხელა!
და ზედ დავამღერ იმასვე,
რასაც დღესნამდე ვმღეროდი...“

იგი იმოწმებს მთასა და ბარს, აფიცებს გულის ფიცარზე დააწერონ მისი ნათქვამი, რომ იგი არ გასტეხს თავის სიტყვას, „წარბ-წამწამით“ დაიკერეთ ჩემი სიტყვები, რომ კვლავ

**„...მტერი ვარ იმისა**
**ვისაც დღესნამდე ვმტერობდი,**
**იგივე მიყვარს, იგივე,**
**ვისაც ამ სოფლად ვმოყვრობდი“*).**

ვაჟა მზადაა ყოველგვარი შხამი გამოსცალოს, რისხვის ქარცეცხლი გადიტანოს, მაგრამ „მცნებათ“ კი არ უღალატოს. იგი „მჭვარტლიან ჩანგურით“ შესძრავს მთა ბარს, იმღერებს იმას, რაც „დღემდისინ დაუმღერნია“! დაე, ამისთვის სტანჯონ, აწამონ, ცოცხლივ ტყავი გააძრონ, იგი „ბილწებს არ ბილწებს არ შეეკვრება ზავით!“ არავითარი კომპრომისი, არავისი მორიდება! ვაჟა მინდიას სახით „გველს შესჭამს“, ოღონდ ჩაიგდოს საიდუმლო გასაღები, ოღონდ გრძნეულებანი შეჰბოჭოს და გულში ჩასწვდეს საჯოჯოხეთო გამოცანას, თუ ვით შეიძლება „ბახტრიონის“ წამოქცევა, ვით შეიძლება იმ ტურფა ეთერის განთავისუფლება, ვინც ამდენ ალლეგორიების უნარსა ჰმატებს და ვის სახელსაც საქართველოდ იხსენიებენ. დიახ, წამება, ქვეყნიური ჯოჯოხეთი, მაგრამ „ბილწებთან ზავი“ არასოდეს! აი, ესაა მისი დევიზი და ვერა რა რისხვის ქარიშხალი ვერ წარხოცს მასა, და ეს ზვიადი, ეს ქედმოუხრელი ამირანი, ვით აჯანყებული ანგელოზი, შიშველი მახვილით სდგას თავის სამოთხე სახატეს კარის ბჭესთან, სადაც ცხრა თავა ვეშაპი მძვინვარებს და ნებას არ აძლევს მას სანუკვარი სიხატე დაიბრუნოს. ვაჟა სტიქიონს დაემზგავსა. თავშიშველი მრისხანედ ეგებებოდა ელვასეტყვის ისართა წვიმას. შეუძლებელია გულგრილად უყუროთ ასეთს ბრძოლას, ამ მძაფრ უდრეკელ ძალის ფარიკობას, შეუძლებელია ბრძოლის ჟინმა თქვენც არ გაგიტაცოთ და ვაჟას გმირების დანახვაზე თქვენც არ აღიმსთვოთ ვაჟკაცობით, წარმოიდგინოთ თავი ერთ ერთ მის გმირად და გულზვიადად დაიძახოთ:

„ნეტავ ლა გაზრდის მშობელი
ვაჟკაცებს ჩვენისთანასა?“

უკაცრავად! აჩქარდით, უნდა მცირეოდენი შესწორება შეიტანოთ: ვგონებ გინდოდათ გეთქვათ:

„გაზდის ლა კიდევ მშობელი
ვაჟკაცებს ვაჟასთანასა?“

**დ. კასრაძე.**

*) ცრემლები გვ. 172—173.

## დეპეშები

**სოფია,** 30 ივლ. ბუქარესტის ხელშეკრულობის წლის თავზე ოფიციოზი „ეკოდე ბულგარი“ სწერს: „ბუქარესტის ხელშეკრულობა არა მარტო ბულგარეთისთვის იყო მავნებელი, არამედ ყველა ბალკანეთის სახელმწიფოებისათვისაც. დღევანდელ პირობებში, როდესაც ერთად ერთი ხსნა ბალკანეთის შეთანხმებაშია. ამ შეთანხმებას წინ ეღობება ეს საბედისწერო ბუქარესტის ხელშეკრულობა. სანამ ეს დაბრკოლება არ იქნება მოსპობილი, მინამ ბალკანეთში არასოდეს არ დამყარდება მშვიდობა და სიწყნარე. ამ მოსაზრებას იზიარებენ ის სახელმწიფოებიც, რომლებიც ბუქარესტის ხელშეკრულობას დიდი მომხრენი იყვნენ. ამ ხელშეკრულობით დაირღვა დაინტერესებულ ხალხთა ეტნიური უფლება, რადგანაც მან განიზრახა სერბიელებათ ექცია ის ხალხი, რომელიც თვით სერბიამ ზემო დასახელებულ ხელშეკრულობაში ბულგარელებად აღიარა.

**პეტროგრადი,** 31 ივლისი. სახელმწიფო მოღალატე მიასოედოვისა, ბორის ფრეიდბერგის, შლიომ და ირონა ელცენის ამხანაგებს ოტტო რიგერტს, დავით ფრეიდბერგს, რობერტ ფალკს და მათეუშ მიკულისს სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა ჩამოხრჩობით. გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანეს ღამით 26 ივლისს. დანარჩენ თანაზიართ ბარონ გროტგუსს მიესაჯა უვადო კატორგა, ოტტონ ფრეინატს 8 წლის კატორგა, დასჯილ მიასოედოვის მეუღლეს—გარდასახლება.

**თეირანი,** 30 ივლისი. რუსეთის და ინგლისის ქერმანშაჰის ელჩები, რომელნიც უკანასკნელ ხანების განმავლობაში ხამადანში იმყოფებოდნენ, შინაყმებით ქერმანშაჰში უკანვე დაბრუნდენ, ხმებია, ქერმანშაჰის გერმანელი აგენტი ეცდება წინაალმდეგობა გაუწიოს მათს ქალაქში შემოსვლასო.

სამინისტროს კრიზისი აფერხებს ყველა საქმეს. მღელვარება თეირანის დემოკრატების მიერ თან და თან ძლიერდება: მათი უმრავლესობა გერმანელებისგან არიან მოსყიდულნიო.

**სტოკჰოლმი,** 30 ივლისი. ბერლინიდან იუწყებიან, რომ ანექსიის საკითხმა განხეთქილება ჩამოაგდო ნაციონალ-ლიბერალთა პარტიაში ისევე, როგორც სოციალ-დემოკრატთა შორის. ნაციონალ-ლიბერალთა უმრავლესობა ანექსიის მომხრეა. მათმა წინამძღოლმა ბასსერმანმა ბეტმანჰოლვეგის საწინააღმდეგო სიტყვაში სთქვა: „გერმანეთში, გამარჯვებისა და მეურნეობის ბრწყინვალე მოწყობილობის მიუხედავად, ძლიერდება უკმაყოფილება. ბასერმანი ამას მხოლოდ ზოგიერთა სახელმწიფო ხოლვაწეთადმი უნდობლობითა ჰხსნის და ეჭვობს, რომ ეს მოღვაწენი ხალხის სურვილს აკმაყოფილებდნენ. ვოლფის სააგენტომ ბასერმანის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა: ამ გვარი ლაპარაკი კანცლერს უცხოელთა თვალში ამცირებსო. არსებით ბრალის დება უსაფუძვლოა. რეიხსტაგში მომავალ გამოსვლისათვის, რომ გარკვეულობა სუფევდეს ნაციონალ-ლიბერალთა პარტიაში, მოიწვიეს თავიანთი ცენტრალი ბიურო. კანცლერს რამდენიმე დეპუტატთან მოლაპარაკება ჰქონდა.

---

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

---

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)**

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისიდან . . . | 8 ს. | 13 წ. | დილ. |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. . | 8 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . . | 8 „ | 58 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 10 „ | 06 „ | „ |
| ივრიდან . . . . | 21 „ | 15 „ | „ |
| საგარეჯოდან . . . | 11 „ | 58 „ | „ |
| ბადიაურიდან . . . | 12 „ | 56 „ | „ |
| ელაანიდან . . . | 2 ს. | 16 წ. | საღ. |
| გურჯაანიდან . . . | 3 „ | 37 „ | „ |
| კარდენახიდან . . . | 4 „ | 12 „ | „ |
| წნორის-წყალზე . . . | 4 „ | 44 „ | „ |

**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**

| | | | |
|---|---|---|---|
| გურჯაანიდან . . . | 3 ს. | 42 წ. | საღ. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 4 „ | 33 „ | „ |
| თელავში . . . . | 5 „ | 27 „ | „ |

**თბილისისკენ მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| წნორის-წყლიდან . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . . | 9 „ | 41 „ | „ |
| გურჯაანიდან . . . | 10 „ | 24 „ | „ |
| მელაანიდან . . . | 11 „ | 39 „ | „ |
| ბადიაურიდან . . . | 12 „ | 59 „ | დღ. |
| საგარეჯოდან . . . | 2 „ | 80 „ | „ |
| ივრიდან . . . . | 2 „ | 50 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 „ | 55 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . . | 4 „ | 58 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. . | 5 „ | 13 „ | „ |
| თბილისში, . . . | 5 „ | 28 „ | „ |

**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. | 54 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 2 „ | 58 „ | „ |
| გურჯაანში . . . | 10 „ | 07 „ | „ |

---

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბაქოდან . . . | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 ბათომიდან . . | 5 ს. | 55 წ. | საღ. |
| № 5 ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | საღ. |
| № 10 ბათომიდან. . | 9 ს. | 51 წ. | დილ. |
| ჯულფიდან. . | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| ბორჯომიდან . | 7 ს. | 25 წ. | დილ |
| „ სააგარ. | 10 ს. | 28 წ. | საღ. |

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბათომისკენ . . | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 ბაქოსკენ . . | 7 ს. | 3 წ. | საღ. |
| № 6 ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 ბათომისკენ . . | 8 ს. | 53 წ. | საღ. |
| ჯულფისკენ . | 10 ს. | 23 წ. | საღ. |
| ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |
| „ სააგარ. | 8 ს. | 28 წ. | დილ. |


## „საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის“ იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო“ გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

**მისამართი:** г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

---

## ახალი კლუბი

**ერთი კვირის პროგრამა 3—9 აგვისტომდე.**

**ორშაბათს—ოპერეტა.** („Цыганскіе романсы въ лицахъ“ Сѣверскаго и „Король веселится“). ბაღში დაუკრავს პატარა ორკესტრი.

**სამშაბათი—სიმფონიური კონცერტი.** ი. პ. ფალიაშვილის ლოტბარობით. მონაწილეობას მიიღებს ვიოლენჩელისტი ნ. ბენდიცკი.

**ოთხშაბათი—**დღესასწაულის გამო სამხიარულო გასართობები არ შესდგება.

**ხუთშაბათი—ქართული წარმოდგენა.** „მშვენიერი ელენეს მაძიებელნი“. ბაღში დაუკრავს სამხედრო ორკესტრი. თეატრში შესვლა უფასოა.

**პარასკევი—სინემატოგრაფი.** ბაღში დაუკრავს დიდი სიმებიანი ორკესტრი

**შაბათი—სიმფონიური კონცერტი.** ი. პ. ფალიაშვილის ლოტბარობით; მონაწილეობას მიიღებს ი. პ. სარაჯიშვილი ბაღში პატარა ორკესტრი.

**კ ვ ი რ ა ს—**საბავშვო საღამო—სეირნობა. სეირნობის შემდეგ კონცერტი, რომელსაც გამართავს მომღერალი ჩუბინოვი. ბაღში სამხედრო ორკესტრი.—

სინემატოგრაფის დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე, წარმოდგენა და კონცერტებისა 9 საათზე, საბავშვო საღამო 5-დან 9 საათამდე.

სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან ჩვეულებრივ ფასს.

---

**იმ საშინელ ცეცხლის გამო, რომელმაც იმსხვერპლა ქართული თეატრი და თავად-აზნაურობის სხვა შენობები, დროებით დაკეტილი**

## „კაფე პარიზი“

**გაიხსნა წინანდელ შენობაში, სასახლის ქ., თ.-აზნ. ქარვასლაში,**

იგი გამშვენიერებული და გალამაზებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხოვან სასადილო-რესტორანების სტილით.

ყოველ-დღე გვაქვს ევროპული და ჩვენებური საჭმელები, რომლებიც ნამდვილ კარაქზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს მყუდრო ბაღი, სანარდე და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით. სხვა და სხვა ხილეულობის წყალი, ნაყინი, ღომი, საცივი და ყოველგვარი იმერული საჭმელები. **თვიურ მოსადილეთ დიდი შეღავათი.**

პატივისცემით **დ. გიგიბერია.**

---

პირველხარისხოვანი

## სასადილო

## „კაფე ბორდო“

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

**ჟავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე** დილის 9 საათიდან 12 საათამდე. **სადილი** 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები“. თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

---

**ქ. გორში**

**ექიმი** ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

---

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

---

**გადაწერას საწერ** მანქანის **საშვალებით და საწერ მანქანაზე**

**მუშაობის სწავლებას**

**ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს**

## ი. თ. გვათუას კანტორა

**✦ ვერის დაღმართი № 1 ✦**

ტელეფონი 17—05

---

**კბილის ექიმი**

## ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

---

## თევზის მრეწველნი

## ძმ. ძეგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

---

**წიგნის მაღაზია**

## „ხალი სიტყვა“ („НОВАЯ РѢЧЬ“).

**ი. დ. კიკნაძისა.**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ.

განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში. (წ.—26)


ძსწრაფ-მბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოსაბერიძი'სა, მოსკოვის ქ. № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.